

შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2

2017 წლის 25 მაისი

დაბა შუახვევი

„შუახვევის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

შეტანილ იქნეს ცვლილება „შუახვევის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის №21 დადგენილებაში (matsne.gov.ge; სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.135.016171) და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

შუახვევის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ნოდარ ქარცივაძე

შუახვევის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

თავი I

ბიუჯეტის ბალანსი

**მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 ფაქტი		2017 წლის გეგმა			
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	7899,334	9083,172	561,531	8521,641	9807,750	0,000	9807,750
გადასახადები	796,493	3141,696	0,000	3141,696	3280,000	0,000	3280,000
გრანტები	6716,782	5466,708	561,531	4905,177	6127,200	0,000	6127,200
სხვა შემოსავლები	386,059	474,768	0,000	474,768	400,550	0,000	400,550
ხარჯები	4694,466	4714,889	0,000	4714,889	4779,272	0,000	4779,272
შრომის ანაზღაურება	1411,397	1377,203	0,000	1377,203	1182,860	0,000	1182,860
საქონელი და მომსახურება	845,304	814,517	0,000	814,517	883,900	0,000	883,900
პროცენტი	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000



სუბსიდიები	1419,867	1559,828	0,000	1559,828	1700,345	0,000	1700,345
გრანტები	204,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
სოციალური უზრუნველყოფა	458,985	354,282	0,000	354,282	244,812	0,000	244,812
სხვა ხარჯები	354,913	609,059	0,000	609,059	767,355	0,000	767,355
საოპრაციო საღდო	3204,868	4368,283	561,531	3806,752	5028,478	0,000	5028,478
არაფინანსური აქტივების ცვლილება	3883,922	3123,277	554,422	2568,855	6435,086	0,000	6435,086
ზრდა	3883,922	3123,277	554,422	2568,855	6435,086	0,000	6435,086
კლება	0,000	0,000			0,000		
მთლიანი საღდო	-679,054	1245,006	7,109	1237,897	-1406,608	0,000	-1406,608
ფინანსური აქტივების ცვლილება	-902,596	-222,292	0,000	-222,292	-1406,608	0,000	-1406,608
ზრდა	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
ვალუტა და დეპოზიტი	0,000	0,000			0,000		
სესხები	0,000	0,000			0,000		
კლება	902,596	222,292	0,000	222,292	1406,608	0,000	1406,608
ვალუტა და დეპოზიტი	902,596	222,292		222,292	1406,608		1406,608
სესხები	0,000	0,000			0,000		
ვალდებულებების ცვლილება	-1,250	-0,490	0,000	-0,490	0,000	0,000	0,000
ზრდა	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
საშინაო	0,000	0,000		0,000	0,000		0,000
საგარეო	0,000	0,000		0,000	0,000		0,000
კლება	1,250	0,490	0,000	0,490	0,000	0,000	0,000
საშინაო	1,250	0,490		0,490	0,000		0,000
საგარეო	0,000	0,000			0,000		
ბალანსი	222,292	1466,808	7,109	1459,699	0,000	0,000	0,000

## მუხლი 2. შუახვევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის პროექტი		2017 წლის პროექტი			
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	7 899,334	9 083,172	561,531	8 521,641	9 807,750	0,000	9 807,750
შემოსავლები	7 899,334	9 083,172	561,531	8 521,641	9 807,750	0,000	9 807,750



არაფინანსური აქტივების კლება	0,000	0,000		0,000	0,000		0,000
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0,000	0,000		0,000	0,000		0,000
ვალდებულებების ზრდა	0,000	0,000		0,000	0,000		0,000
გადასახდელები	8 579,638	7 838,656	554,422	7 284,234	11 214,358	0,000	11 214,358
ხარჯები	4 694,466	4 714,889	0,000	4 714,889	4 779,272	0,000	4 779,272
არაფინანსური აქტივების ზრდა	3 883,922	3 123,277	554,422	2 568,855	6 435,086	0,000	6 435,086
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
ვალდებულებების კლება	1,250	0,490	0,000	0,490	0,000	0,000	0,000
ნაშთის ცვლელება	-680,304	1 244,516	7,109	1 237,407	-1 406,608	0,000	-1 406,608

**მუხლი 3. შუახვევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 9 807 750 ლარის ოდენობით:**

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 ფაქტი		2017 წლის გეგმა			
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	7 899,334	9 083,172	561,531	8 521,641	9 807,750	0,000	9 807,750
გადასახადები	796,493	3 141,696	0,000	3 141,696	3 280,000	0,000	3 280,000
გრანტები	6 716,782	5 466,708	561,531	4 905,177	6 127,200	0,000	6 127,200
სხვა შემოსავლები	386,059	474,768	0,000	474,768	400,550	0,000	400,550

**მუხლი 4. შუახვევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვროს შუახვევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახადები 3280 000 ლარის ოდენობით:**

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 ფაქტი		2017 წლის გეგმა			
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	796,493	3 141,696	0,000	3 141,696	3 280,000	0,000	3 280,000
ქონების გადასახადი	796,493	2 720,201	0,000	2 720,201	2 750,000	0,000	2 750,000
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	790,330	2 562,323		2 562,323	2 750,000		2 750,000
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1,385	0,218		0,218	0,000		
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	0,456	0,400		0,400	0,000		
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების	4,322	157,260		157,260	0,000		



მიწაზე ქონების გადასახადი	4,322	157,260		157,260	0,000		
საშემოსავლო გადასახადი	0,000	421,495		421,495	530,000		530,000
სხვა გადასახადი	0,000	0,000			0,000		

**მუხლი 5. შუახევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის გრანტები**

განისაზღვროს შუახევის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის გრანტები 6 127 200 ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი		2016 ფაქტი		2017 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	6 716,782	5 466,708	561,531	4 905,177	6 127,200	0,000	6 127,200
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი	1 597,685	329,148		329,148	4 500,000		4 500,000
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი		196,329		196,329	0,000		
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	4 837,284	4 768,731	561,531	4 207,200	1 627,200	0,000	1 627,200
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	4 232,700	4 207,200	0,000	4 207,200	1 627,200	0,000	1 627,200
გათანაბრებითი ტრანსფერი	4 232,700	4 207,200		4 207,200	1 627,200		1 627,200
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი	604,584	561,531	561,531	0,000	0,000	0,000	0,000
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	604,584	561,531	561,531		0,000		
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	0,000	0,000			0,000		
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები	0,000	0,000			0,000		
სხვა ტრანსფერები	281,813	172,500		172,500	0,000		

**მუხლი 6. შუახევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 400 550 ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი		2016 ფაქტი		2017 წლის გეგმა	
			მათ შორის		მათ შორის	
			სახელმწიფო		სახელმწიფო	



	სულ	სულ	ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	386,059	474,768	0,000	474,768	400,550	0,000	400,550
შემოსავლები საკუთრიდან	195,935	186,475	0,000	186,475	100,000	0,000	100,000
პროცენტები	98,923	101,378	0,000	101,378	50,000	0,000	50,000
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	98,923	101,378		101,378	50,000		50,000
რენტა	97,012	85,097	0,000	85,097	50,000	0,000	50,000
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	96,161	84,976		84,976	50,000		50,000
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა)	0,851	0,121		0,121	0,000		
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	19,656	15,032	0,000	15,032	20,000	0,000	20,000
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	8,487	6,279	0,000	6,279	10,000	0,000	10,000
სანებართვო მოსაკრებელი	2,752	0,126		0,126	0,000		0,000
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	2,752	0,126		0,126	0,000		
სახელმწიფო ბაჟი	0,000	0,000			0,000		
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,040	0,000			0,000		
სატენდერო მოსაკრებელი	0,000	0,000			0,000		
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0,000	0,000			0,000		
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0,000	0,000			0,000		
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	5,695	6,153		6,153	10,000		10,000
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	11,169	8,753	0,000	8,753	10,000	0,000	10,000
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	11,169	8,753	0,000	8,753	10,000	0,000	10,000
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	0,000	0,000			0,000		
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	11,169	8,753	0,000	8,753	10,000	0,000	10,000
შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა)	11,169	8,728		8,728	10,000		10,000
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან	0,000	0,025		0,025	0,000		
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	154,197	266,259		266,259	30,000		30,000
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე					250,550		250,550
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	16,271	7,002		7,002	0,000		

## მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 4 779 272 ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:



დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 ფაქტი			2017 წლის გეგმა			
		სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	4 694,466	4 714,889	0,000	4 714,889	4 779,272	0,000	4 779,272	
შრომის ანაზღაურება	1 411,397	1 377,203	0,000	1 377,203	1 182,860	0,000	1 182,860	
საქონელი და მომსახურება	845,304	814,517	0,000	814,517	883,900	0,000	883,900	
პროცენტი	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	
სუბსიდიები	1 419,867	1 559,828	0,000	1 559,828	1 700,345	0,000	1 700,345	
გრანტები	204,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	
სოციალური უზრუნველყოფა	458,985	354,282	0,000	354,282	244,812	0,000	244,812	
სხვა ხარჯი	354,913	609,059	0,000	609,059	767,355	0,000	767,355	

**მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 6 435 086 ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 6 435 086 ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 ფაქტი			2017 წლის გეგმა			
		სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	95,896	198,305	0,000	198,305	98,400	0,000	98,400	
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3328,834	2021,144	554,422	1466,722	5042,086	0,000	5042,086	
განათლება	332,122	790,627	0,000	790,627	682,380	0,000	682,380	
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	127,070	104,432	0,000	104,432	99,220	0,000	99,220	
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და								



სოციალური უზრუნველყოფა	0,000	8,769	0,000	8,769	513,000	0,000	513,000
ჯამი	3883,922	3123,277	554,422	2568,855	6435,086	0,000	6435,086

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0 ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივები	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
ძირითადი აქტივები	0,000	0,000			0,000		
არაწარმოებული აქტივები	0,000	0,000			0,000		

**მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს შუახევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

გადასახდლების (ხარჯების) დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1 925,593	1 942,430	0,000	1 942,430	1 708,980	0,000	1 708,980
ადმსარულეული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1 797,411	1 939,143	0,000	1 939,143	1 708,980	0,000	1 708,980
ადმსარულეული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1 797,411	1 939,143		1 939,143	1 658,980		1 658,980
ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,000	0,000		0,000	50,000		50,000
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	128,182	3,287		3,287	0,000		0,000
თავდაცვა	68,488	72,352	0,000	72,352	72,360	0,000	72,360
სამოქალაქო თავდაცვა	68,488	72,352		72,352	72,360		72,360
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	235,520	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0,000	0,000		0,000	0,000		0,000
სახანძრო სამსახური	235,520	0,000		0,000	0,000		0,000



ეკონომიკური საქმიანობა	172,163	469,520	0,000	469,520	304,289	0,000	304,289
სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა							
ტრანსპორტი	172,163	469,520		469,520	304,289		304,289
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ სფეროში	0,000	0,000		0,000	0,000		0,000
გარემოს დაცვა	96,570	124,269	0,000	124,269	96,000	0,000	96,000
წარმოების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	88,320	84,789		84,789	90,000		90,000
ჩამდინარე წყლების მართვა	8,250	39,480		39,480	6,000		6,000
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	3 484,242	2 231,553	0,000	2 231,553	5 482,276	0,000	5 482,276
კომუნალური მეურნეობის განვითარება	241,664	425,493		425,493	359,478		359,478
წყალმომარაგება	2 114,679	899,790		899,790	4 368,690		4 368,690
გარე განათება	387,700	266,585		266,585	603,000		603,000
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	740,199	639,685		639,685	151,108		151,108
ჯამრთელობის დაცვა	126,427	165,482	0,000	165,482	358,460	0,000	358,460
საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება							
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯამრთელობის დაცვის სფეროში	126,427	165,482		165,482	358,460		358,460
დასვენება, კულტურა და რელიგია	730,735	779,097	0,000	779,097	680,205	0,000	680,205
მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	249,391	243,101		243,101	221,175		221,175
მომსახურება კულტურის სფეროში	467,058	518,025		518,025	443,030		443,030
რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	14,286	17,971		17,971	16,000		16,000
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	0,000	0,000		0,000	0,000		0,000
განათლება	993,252	1 523,240	0,000	1 523,240	1 498,870	0,000	1 498,870
სკოლამდელი აღზრდა	595,287	1 217,446		1 217,446	1 214,080		1 214,080
ზოგადი განათლება	0,000	0,000			0,000		
განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	0,000	0,000			0,000		
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	397,965	305,794		305,794	284,790		284,790
სოციალური დაცვა	745,425	529,224	0,000	529,224	1 012,918	0,000	1 012,918
სოციალური გაუცხოების საკითხები, რომელიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	23,437	37,654		37,654	40,000		40,000
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	721,988	491,570		491,570	972,918		972,918
სულ ბიუჯეტის გადასახდელები	8 578,415	7 837,167	0,000	7 837,167	11 214,358	0,000	11 214,358

**მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -1406608 ლარის ოდენობით.

**მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება – 1406608 ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება – 1406608 ლარის ოდენობით.

**მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 0 ლარის ოდენობით.





### **მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 50 000 ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

### **მუხლი 14. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## **თავი II**

### **შუახვევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

#### **მუხლი 15. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

##### **1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)**

ბოლო დროს გახშირებული მიწისძვრის, სახანძრო და სხვა უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით აუცილებელია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება, რაც აუცილებელია მაშველების ოპერატიული მოქმედებისათვის.

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის შუახვევის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

##### **1.1 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 01)**

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის შუახვევის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტი შესაბამისი ფინანსური რესურსების ფარგლებში უზრუნველყოფს სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის საქმიანობის ხელშეწყობას.

##### **2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია შემდგომი ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, მისი ექსპლოატაცია ეფექტურობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება. გარე-განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, სანიტარიული დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, არხების მიმდებარე ტერიტორიების დამუშავება, მაწანწალა ცხოველებთან და მღრღნელებთან ბრძოლა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

##### **2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)**

შუახვევის მუნიციპალიტეტი მაღალმთიან რეგიონს განეკუთვნება, ტრანსპორტის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, მნიშვნელოვანია საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, ამ კუთხით გათვალისწინებულია სხვადასხვა სოფლებში გზების რეაბილიტაცია.

##### **2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან



დაცვა. რეაბილიტაცია ჩაუტარდება მუნიციპალიტეტის წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემას.

### 2.2.1 გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გარე განათება. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია. მიმდინარე წელს გათვალისწინებულია დაბისა და მიმდებარე სოფლებისათვის შიპჩამჭერების და საჭირო მოწყობილობების შექმნა და ახალი წერტილების მონტაჟი.

### 2.2.2 დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან, ხოლო დიდთოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება. აღნიშნულის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სანიტარიული დასუფთავების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება ორი ღონისძიება:

1. დაბისა და ხიჭაურის ტერიტორიის დასუფთავება.
2. მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება – 81992 კვ.მ, მწვანე საფარის დასუფთავება–39700 კვ.მ, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა – 1000 მ<sup>3</sup> კონტეინერების მოვლა-პატრონობა 40 ცალი.

#### 2.2.2.2.1 უმეტესაწარმოვან დარჩენილი ცხოველების იზოლაცია (პროგრამული კოდი 03 02 02 02)

პროგრამა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ყოველდღიური ცხოველების განუყოფელ ნაწილს. იგი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც ეხება სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვას, მაწანწალა ცხოველებთან ბრძოლას. მუნიციპალიტეტში მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გაუნებელყოფა. რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. დასახლებული ღონისძიებები ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვას, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობას, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობისა და ჩამოსულ სტუმართა კეთილდღეობას.

### 2.2.3 წყალმომარაგების უზრუნველყოფის ღონისძიებები (პირობითი კოდი 03 02 03)

მოსახლეობის სასმელი წყლით მიმარაგება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. უნდა აღინიშნოს რომ მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელი უზრუნველყოფილია სასმელი წყლით. მუნიციპალური მომსახურების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა, სულ მუნიციპალიტეტში 13 მაგისტრალია და საჭიროების შემთხვევაში უტარდება მიმდინარე რემონტი. 2016 წელში დაგეგმილია ახალი მაგისტრალის მშენებლობა გამართული მუშაობისა და გაუთვალისწინებელი შემთხვევების აღმოფხვრისათვის შუახვევის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ „შუახვევის წყალკანალი“, სადაც დასაქმებულია 37 თანამშრომელი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის სარწყავი წყლით უზრუნველყოფისათვის ფუნქციონირებს სარწყავი არხების მოვლა-შენახვის პროგრამა. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 39 სარწყავი არხი, სადაც დასაქმებულია (4 თვის განმავლობაში) 53 კაცი, რომლებიც უზრუნველყოფენ 243 კმ სიგრძის არხების მოვლა-პატრონობას. აღნიშნული არხებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის სოფლების 3110 ოჯახი. ასევე სოფლებში მოეწყობა სამელი წყლის გამანაწილებელი აუზების მშენებლობა, ასევე მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში გათვალისწინებულია სასმელი წყლით მიმარაგება.



## 2.2.4 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობითი სამუშაოები (პირობითი კოდი 03 02 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაბის კეთილმოწყობის ღონისძიებები: კერძოდ, მოეწყობა დაბისა და ხიჭაურის ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების გარე ფასადების კეთილმოწყობა.

## 2.3. გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

მუნიციპალიტეტში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შესაქმნელად მეტად მნიშვნელოვანია დაბის ტერიტორიის გამწვანება და ნარგავების მოვლა-პატრონობა. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის დაბის ტერიტორიაზე ნარგავების გაშენებას და არსებული ნარგავების მოვლა-პატრონობას(მორწყვას, გასხვლას) მუნიციპალიტეტის არსებული მწვანე საფარის დასუფთავებას. დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი ნერგის დარგვა; მწვანე საფარის გასხვლა-გაწმენდა; ნარგავების თოვლისაგან გაწმენდა.

## 3. საგანმანათლებლო ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას.

### 3.1 სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა(პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 5 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 250 ბავშვი. სამტატო რიცხოვნობა 2016 წლისათვის შეადგენს 67 ერთეულს. ახალი სასწავლო წლისათვის დამატებით ფუნქციონირებას დაიწყებს დამატებით ოთხი ბაღი.

### 3.2 ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ნიგაზეულის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხელშეწყობა, რაც აღნიშნულ სოფლებში სკოლების სიშორის გამო არის გამოწვევული. ყოველივე ეს გააუმჯობესებს მოსწავლეთა სწავლის, განათლების და ჯამრთელობის დაცვისათვის სათანადო

## 4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

### 4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2016 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, დაფინანსდება: ფეხბურთის ხელშეწყობის ღონისძიებები, აიპი „შუახევის სასპორტო სკოლა“, ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზნით დაბა შუახევში ფუნქციონირებს რაგბის ორი წრე, სადაც დაკავებულია 36 ბავშვი. აღნიშნული სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით ფუნქციონირებს ჭიდაობის (ქართული, ძიუდო და თაჯისუფალი ჭიდაობა) წრეები, სადაც



დაკავებულია 163 ბავშვი და სათხილამურო სპორტის 5 ჯგუფი, რომელშიც ასევე 82 ბავშვი ვარჯიშობს. აღზრდელ-მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენს 17-ს. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს სპორტულ ღონისძიებებთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს.

ასევე სოფელ სხეფში, ჟაბნიძეებში და ოლადაურში მოეწყობა ახალი სპორტული მოედნები, მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენა.

## **4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კულტურული დანიშნულების ქსელის გაფართოება. თანამედროვე დონის მატერიალური ბაზით უზრუნველყოფა. არსებული საშუალებების მაქსიმალურად ხალხის სამსახურში ჩაყენებისათვის სათანადო პირობების შექმნა. დაგეგმილია ასევე ცენტრალური ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია.

### **4.2.1 აიპ შუახევის კულტურის ცენტრი(პროგრამული კოდი 05 02 01)**

შუახევის კულტურის ცენტრი აერთიანებს მუნიციპალიტეტში მოქმედ სხვადასხვა ფოლკლორულ და ვოკალურ ანსამბლებს, რომლებმაც წარმატებით გაიარეს სახელმწიფო აკრედიტაცია და აქვთ საკმაოდ დიდი მიღწევები, კულტურის ცენტრში აგრეთვე მოქმედებს დრამატურგიისა და ნორჩ დეკლამატორთა შემსწავლელი წრე, ლიტერატურისა და ტურიზმის, ხელოვნების, ქსოვის, ქარგვის, გამოყენებითი ხელოვნებისა და ხატვისა და დაწყებითი მოდელირების წრეები, რომლებშიც 50 მოსწავლეა ჩართული. ყოველივე აქედან გამომდინარე, ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება კულტურის ცენტრის მიმდინარე ხარჯები ანსამბლების ფორმებითა და მუსიკალური ინსტრუმენტებით უზრუნველყოფა, სხვადასხვა ფოლკლორულ ღონისძიებებში და გამოფენებში მონაწილეობა.

### **4.2.2 აიპ – შუახევის ხელოვნების სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 02)**

აიპი შუახევის „სახელოვნებო სკოლაში“ ამჟამად სწავლობს 84 ბავშვი, წლიური შენატანი თითოეულ ბავშვზე შეადგენს არსებობს სამი ჯგუფი: საფორტეპიანო, საორგესტრო და ხალხური ჯგუფები, სკოლაში მუშაობს 12 პედაგოგი. ყოველივე აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი ახორციელებს სახელოვნებო სკოლის მიმდინარე ხარჯების დაფინანსებასა და მუსიკალური ინსტრუმენტებით უზრუნველყოფას.

### **4.2.3 ახალგაზრდული პროგრამების და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 05)**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

## **5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

### **5.1 მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01)**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, ამ კუთხით მუნიციპალიტეტში მოქმედებს 3 მიზნობრივი პროგრამა. რაც გარკვეულწილად ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვას.



### **5.1.1 ქრონიკულად პროგრესირებადი დაავადებების (ეპილევსიით) მედიკამენტური დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 01)**

ეპილევსია ქრონიკული ნერვულ-ფსიქიკური დაავადებაა, რომელიც ხასიათდება განმეორებითი გულყრებით. ეპილევსიის სიხშირე მაღალია როგორც ბავშვებში, ისე მოზარდებში, რაც გამოწვეულია თავის ტვინის მთელი რიგი ასაკობრივი თავისებურებებით. დაავადების მიმდინარეობის მთავარი პრინციპი ანტი ეპილევსიური მედიკამენტების სისტემატური მიღებაა, დროული მედიკამენტოზური ჩარევის გარეშე დაავადება იწვევს ინვალიდობას ან შეიძლება დამთავრდეს ფატალური შედეგით. შუახვევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბოლო წლებში ეპილევსიით დაავადებულ მოქალაქეთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა, რომლებიც არიან უკიდურესად გაჭირვებულები და აღნიშნულის პრევენციის მიზნით ხდება საჭიროებისამებრ მათი მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

### **5.1.2 ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამა 06 01 02)**

ცერებრალური დაავადებით დაავადებულ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაცია კურსებზე მგზავრობის ღირებულების ხარჯით უზრუნველყოფა, თანხმდები პირთან (მშობელთან) ერთად.

### **5.1.3 აიპ – შუახვევის სოციალური მომსახურების სერვისცენტრი (პროგრამული კოდი 06 01 03)**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული იქნა შუახვევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ამბულატორიების ტრანსპორტი და მედიკამენტებით უზრუნველყოფა, ვინაიდან მუნიციპალიტეტის მდებარე თემები და სოფლები მნიშვნელოვნად დაშორებულია დაბის ცენტრთან, მოსახლეობის პირველადი სამედიცინო მომსახურებისა და ამბულატორიების მედიკამენტებით უზრუნველყოფისათვის აღნიშნული პროგრამით შესაძლებელი იქნება თემებში მდებარე ამბულატორიების მედიკამენტებით უზრუნველყოფა და თემებში დასაქმებული მედპერსონალის ტრანსპორტით უზრუნველყოფა, რითაც შესაძლებელი იქნება მოსახლეობას გაეწიოს პირველადი სამედიცინო დახმარება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ამბულატორიებს გადაეცემა 8 ავტომობილი – ნივა, რომელიც მოსახლეობაზე პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის მიზნით უზრუნველყოფს ამბულატორიის მედპერსონალის ტრანსპორტირებას.

### **5.1.4 პარკისონით დაავადებულ მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 05)**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული იქნა პროგრამა შუახვევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები პარკისონით დაავადებულ მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

## **5.2 სოციალური დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02)**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

### **5.2.1 სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 01)**

უფასო სასადილოს პროგრამითსარგებლობენ შუახვევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი უკიდურესად გაჭირვებული, მარტოხელა, მზრუნველობამოკლებული და უმწეო მდგომარეობაში მყოფი 42 ბენეფიციარი. ხორციელდება ყოველდღიური კვებით



უზრუნველყოფა.

**5.2.2 ოთხ და მეტ 18 წლამდე ასაკის მრავალშვილიან ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 03)**

მუნიციპალიტეტის მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობის და სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში მრავალშვილიან ოჯახს გაეწევა დახმარება, თითოეულს 1000 ლარის ოდენობით.

**5.2.3 სარიტუალო მომსახურება (პროგრამული კოდი 06 02 04)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების გარდაცვლილ პირთა დაკრძალვისათვის მოხდება დახმარება.

**5.2.4 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლ ბავშვებზე ყოველთვიური მატერიალური დახმარებები (პროგრამული კოდი 06 02 07)**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა. თითოეულზე ყოველწლიურად 1000 ლარის ოდენობით.

**5.2.5 შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები დიალიზზე მყოფი ავადმყოფების ტრანსპორტირების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 08 )**

პროგრამა ითვალისწინებს დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარის ქ. ბათუმის კლინიკებში დიალიზის სეანსების სატარებლად ტრანსპორტირებისათვის ფინანსურ დახმარებას. აღნიშნული ბენეფიციარები ძირითადად ცხოვრობენ სოფლად და არ აქვთ ტრანსპორტირების ხარჯები. პროგრამით გათვალისწინებული დახმარება მათთვის მნიშვნელოვან მხარდაჭერას წარმოადგენს.

